პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

შაბათი, 25 ოქტომბერი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 3 კაპ.

# წითელი მეომარი

№ 633 1 და 2 ქ. მ. ნ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა სავალე ელს. 16

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## სასტიკად უნდა აღეკრძალოთ:

გუშინდელ ჩვენ ნომერში მოთავსებული იყო ამხ. ს. იმნაიშვილის წერილი ყოფილ სამხედრო პირებზე.

ამხანაგი სამართლიანად აღნიშნავს, რომ იმ ვაჟბატონებს, რომლებიც ჯარში აღარ იმყოფებიან სასტიკად უნდა აღეკრძალოთ ფორმის ტარებაო.

მართლაც და საკითხავია რათ უნდათ, რომ არ იცილებენ სამხედრო ფორმას?

წინეთ, ნიკოლოზის დროს, ოფიცრობას სიცოცხლეს ერჩია ჩინი და ტემლაკები; არავითარ შემთხვევაში არ შეელეოდენ მას.

ეს ესაჭიროებოდათ უქმად პრანჭვა-გრეხაში და ქარა-ფშუტა ცხოვრების ტარებისათვის.

დღეს საქმე სულ სხვანაირად სდგას. ჩვენს ჯარში არა შნოსთვის და პრანჭვისათვის გვაქვს შემოღებული ფორმა, არამედ გარჩევისათვის და გარკვევისათვის.

სამხედრო პირი, მეთაურია ის თუ რიგის წითელი არმიელი უნდა განირჩეოდეს კერძო პირისაგან.

რატომ?

იმიტომ რომ სამხედრო პირს მინდობილი აქვს დიდი მოვალეობა: მუშურ-გლეხურ თავისუფლების დაცვა. ამიტომ მისგან ბევრი რამ მოითხოვება.

იგი უნდა იყოს ღირსი წითელ მეომრის სახელის ტარების.

დიდია დანიშნულება დღევანდელი სამხედრო პირის. ამიტომ მას ყველა პატივცემით ეპყრობა.

ბევრს სთხოვენ მას, მაგრამ ამასთან ერთად ბევრ შეღავათსაც აძლევენ,

ყველა მორიდებით და სიყვარულით ეპყრობა წითელ ჯარში მოსამსახურეს.

ძველათ სამხედრო პირების ხათრი და მორიდება კი არ ქონდათ, არამედ შიში და უზედურება. ყველამ იცოდა თუ სიტყვის თქმას გაუბედავდა, სამხედრო პირი ისე აყროლდებოდა და აღძორდებოდა, რომ მის ახლოს შეუძლებელი იქნებოდა გაჩერება.

დღეს ასე არ არის.

ეს იციან ჯარიდან კინწისკრავმა ვაჟბატონებმა და მიტომაც არ ელევიან ფორმას.

თავისუფლად დადიან და დასეირნობენ ქუჩებში.

თუ რამ უმნიშვნელო ჩაიდინეს ვაპატიოთ წითელ ჯარში მოსამსახურეაო-იტყვიან.

ყველაზე უფრო ყურად საღები ის არის, რომ სპეკულიაციას ეწევიან თურმე ბაზარზე.

ასეთი თავის უმგვანო ქცევით ისინი სახელს უტეხავენ წითელ ჯარს.

საჭირო არის ქალაქის კომენდანტმა და სხვა სათანადო ორგანიზაციებმა მიაქციონ ყურადღება.

საჭიროა სასტიკად აღეკვეთოს მათ სამხედრო ფორმის ტარება.

წითელი მეომრის სახელი საამაყოა და ის ვინც წითელი არმიიდან განდევნილია, როგორც უვარგისი არ არის ღირსი სამხედრო ფორმის ტარებისა.

ამას უნდა სასტიკი ყურადღების მიქცევა.

## სამი ნაკლი.

რევოლიუციამ მოსპო წოდებანი. მათთან ერთად გაჰქრა მიმართვა „ბატონოც“. საბჭოთა ქვეყნებში არ არიან ბატონები და ყმები, ბრწყინვალენი და „მუჟიკები“, აქ ყველანი თანასწორნი არიან და შეგნებულათ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში ვერ გაიგონებთ სიტყვა „ბატონო“-ს. იქ ყველანი მიმართავენ ერთმანეთს სიტყვა „ამხანაგო“-თი.

საუბედუროთ ქართულ წითელ არმიაში სიტყვა „ბატონო“ კიდევ იხმარება და ხშირათაც. თუ რუსი წითელი არმიელი იტყვის: „დიახ ამხანაგო“ „არა ამხანაგო“, ქართველი წითელი არმიელი ჯერ კიდევ ძველებურად გაიძახის „დიახ ბატონო“, „არა ბატონო“-ს.

**ჩვენ სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ ასეთ მიმართვას. სიტყვა ბატონო“-ს ადგილი არ უნდა ჰქონდეს წითელ არმიაში და მშრომელთა თავისუფალ საზოგადოებაში. უნდა გავკიცხოთ ყველა მისი** ხმარებისათვის. ყაზარმებში, სკოლებში, კლუბებში და კედლის გაზეთებში უნდა გავაკრათ ლოზუნგები ასეთ მიმართვის წინააღმდეგ. მეთაური ვალდებულია ყოველ წითელ არმიელს სიტყვა „ბატონოთი“ მიმართვა გაუსწოროს და მისი მთელი სისაძაგლე აუხსნას.

ყოველი ჩვენი ორგანიზაციები უნდა შეებრძოლონ ამ სამარცხვინო დროის ნაშთს.

მეორე ცუდი მემკვიდრეობა, რომელიც დაგვიტოვა ძველმა—ეს არის გინება.

ძველად თუ მონა მიმართავდა თავის მფლობელს სიტყვა „ბატონო“-თი, სამაგიეროდ ბატონი მიმართავდა მას გინებით. ძველი საზოგადოება გინებაში იყო აღზრდილი. ჩვენი გლეხობა ეხლაც შეაგინებს ხოლმე თავის ხარებს: „შენი პატრონის დედაც .......“ ეს ალბად იმ დროიდან დარჩა, როცა გლეხი თავის ბატონის ურემს ეკიდა ხოლმე და შრომით ღონე მიხდილი, თუმცა ბატონს ვერ უბედავდა, მაგრამ მის ხარებს მაინც აგინებდა.

საბჭოთა მთავრობამ მოსპო ბატონობა, მათ ჩამოართვა მიწა და ხარები და მისცა გლეხებს. საბჭოთა მთავრობამ ყაზარმა სკოლათ გადააქცია და ის, ვინც ამ სკოლაში იზრდება უნდა სწავლობდეს სხვა და სხვა მეცნიერებას, მუშურ გლეხურ თავისუფლების დაცვას და პროლეტარულ რევოლიუციისადმი სიყვარულს. შეგინება კი მისთვის მხოლოდ სირცხვილი და შეურაცყოფა არის. გინება ძველი ბატონების, მიწათ მფლობელების მოგონილია. უნდა ის გადაშენდეს ბატონებთან ერთად ზრდილობიანი მუშა არას დროს არ შეაგინებს თავის ამხანაგს; წითელ არმიელი უნდა იყოს ჭკვიანი, გულისყურიანი და ზრდილობიანი მოქალაქე. ის არამც თუ არ უნდა იგინებოდეს, პირიქით მისმა პატიოსანმა ქცევამ და ზრდილობიანმა ლაპარაკმა მუშებისა და გლეხების ყოველი მეგობარი უნდა მოხიბლოს.

არის კიდევ ერთი ნაკლი. ჩვენ ლეგიონებში ძვირად თუ გაიგონებთ რევოლიუციონურ სიმღერებს. უფრო ხშირად კი ერთ მონოტონურ „რირა ორირას“ მღერიან. დროა ჩვენმა კლუბმა ამ საკითხს სათანადო ყურადღება მიაქციოს და წითელ არმიელებს რევოლიუციონურ სიმღერები ასწავლოს. ქართულ ჟურნალებში საკმარისად მოიპოვება ლამაზი რევოლიუციონური ლექსები. საჭიროა მათი ნოტებზე გადაღება. ქართველები ვიკვეხნით მუსიკალური ხალხი ვართო და აქამდე კი ორიოდე რევოლიუციონური სიმღერაც თუ მოგვეპოვება. რუსულიდან ნათარგმნსაც არაფერი უჭირს, რომ გავლექსოთ და ვიმღეროთ.

კარგი იქნება, ქართულ ჯარის პოლიტგანყოფილებებმა აკრძალონ არა რევოლიუციონური სიმღერების მიღება ქართულ დივიზიებში. ქართულ სკოლაში ეს უკვე გატარებულია.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წითელ არმიელებმა ნაკლებათ იციან ინტერნაციონალის სიმღერა. ხოლო ვინც იცის, მისი აზრი არ გაეგება. ამას ბოლო უნდა მოეღოს. **წითელ არმიელმა უნდა ისწავლოს რევოლიუციონური სიმღერები—მისი შინაარსი და როცა დაბრუნდება სოფლად, იქაც უნდა გაავრცელოს.**

**ი. ტალახაძე.**

# რადიო-დეპეშები.

## ნორვეგიის პარლამენტის არჩევნების შედეგი.

არჩევნების დაწვრილებითი შედეგები: მემარჯვენეებმა მიიღეს 54 ადგილი, გლეხთა კავშირმა-23, რადიკალ სახალხო პარტიამ—2, სოციალ დემოკრატებმა—9, მუშათა პარტიამ—24, კომუნისტებმა—6, კომპარტიამ საერთოდ შეჰკრიბა 65 ათასი ხმა.

კონსერვატიულ უმეტესობის შექმნის გამო პარლამენტში, მოსალოდნელია ლიბერალების გასვლა კაბინეტიდან.

## გერმანია.

### ფაშისტურ ორგანიზაცია „კონსული“-ს საქმე.

საქმის სამი წლით გაჭიანურების შემდეგ გერმანიის უზენაესმა ტრიბუნალმა დაიწყო ფაშისტური საიდუმლო ორგანიზაცია-„კონსული“-ს გასამართლება.

ბრალდებულთა სკამებზე სხედან ორგანიზაციის 26 ხელმძღვანელი; უმეტესობა ოფიცრები და სტუდენტებია.

ეს ორგანიზაცია აღმოაჩინეს 1921 წლის ზაფხულზე. ორგანიზაციის მოქმედების ცენტრი იყო მიუნხენში.

ამ ორგანიზაციის წევრები შილცი და ტილესენი ერცბერგერის მკვლელები არიან.

შეიდემანისა და რატენაუს მკვლელებს კავშირი ჰქონდათ ამ ორგანიზაციასთან.

ბრალდებულები მოითხოვდენ დახურულ კარებში საქმის გარჩევას და აღნიშნავდენ, რომ საჯაროდ გასამართლება ავნებს სახელმწიფოს ინტერესებსო.

დამცველთა შუამდგომლობით დარბაზიდან გაყვანილ იქნა გარეშე საზოგადოება და პრესის წარმომადგენლები.

### ბრძანება კომუნისტურ დეპუტატების დაჭერის შესახებ.

გამოცემულ იქნა ბრძანება 62 კომუნისტ დეპუტატის დაპატიმრების შესახებ.

### დორტმუნდის ზონის ევაკუაცია.

ლონდონის შეთანხმების თანახმად, საფრანგეთ-ბელგიის ჯარებმა დასცალეს დორტმუნდის ზონა.

### საარჩევნო კამპანია გერმანიაში.

### კომპარტიის დევნა.

საარჩევნო კამპანიის გამო გაძლიერებულ იქნა კომპარტიის დევნა. ჩხრეკენ და აპატიმრებენ კომუნისტურ დეპუტატებს.

პროკურატურამ გამოსცა განკარგულება კომპარტიის ცეკას ყველა წევრების შეპყრობის შესახებ.

ყველაფერი ეს ხდება იმისათვის, რომ ხელი შეუშალონ კომპარტიის ბელადებს აგიტაციის წარმოებაში.

### რეიხსტაგის დაშლის შემდეგ.

### დემოკრატების მოწოდება.

დემოკრატების მოწოდებაში სხვათა შორის ნათქვამია: „ახალმა არჩევნებმა საგრძნობლად უნდა შეამცირონ კომუნისტები და ტევტონელები“

## მუშათა მოძრაობა

### კომინტერნის აღმასკომის დეპეშა.

კომინტერნის აღმასკომმა გაუგზავნა ამერიკის მუშათა პარტიას დეპეშა, რომელშიაც ულოცავს მას დამოუკიდებელ ბრძოლას კაპიტალის უფლების და კაპიტალისტურ საარჩევნო აპარატის წინააღმდეგ ამერიკაში.

### მოითხოვენ ხელფასის მომატებას.

შარლრუას (ბელგიაშია) მუშის სამრეწველოების მუშები მოითხოვენ შრომის ხელფასის გადიდებას 10 პროც. ნოემბრის თვიდან. თუ მოთხოვნილება არ იქნა დაკმაყოფილებული, მუშები გამოაცხადებენ საყოველთაო გაფიცვებს.

### რუმინეთის „ოხრანკას“ საქმიანობა.

რუმინეთის „ოხრანკა“ (დამცველი რაზმი) განაგრძობს მუშათა დევნას.

ერთ ქალაქში „ოხრანკა“ თავს დაესხა პროფკავშირთა სახლს. შეიპყრეს 12 კომუნისტი. დაპატიმრებულთ სასტიკად სცემეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲛᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ.

წითელი სპორტინტერნის უცხოეთის დელეგატებმა, რიცხვით 27-მა კაცმა დაათვალიერეს ივანოვსკის გამასწორებელი სახლი. მონაწილეობდენ ავსტრიის, გერმანიის, შვეციის, ნორვეგიის, დანიის, ინგლისის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები.

დელეგატები დაწვრილებით გაეცვნენ საბჭოთა გამასწორებელი სახლების რეჟიმს, შედიოდენ საკანში სახელოსნოებში და საუბრობდენ პატიმრებთან. მნახველთა წიგნში დელეგატებმა აღნიშნეს კარგი შთაბეჭდილება, რომელიც მათ მიიღეს დათვალიერების დროს.

## ᲛᲐᲚᲘᲜᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲐ.

უკანასკნელ სხდომაზე სიტყვებს ამბობენ ბრალდებულები.

„მე არ მეგონა — ამბობს ანდრია მალინოვსკი — რომ ასე მოხდებოდა. მე ძალიან მიყვარდა ძმა და ხშირად დევიხსენი ის სიკვდილისაგან ომის დროს“-ო.

სიმონოვიჩი სტირის და აცხადებს, რომ ის აწი არავის დაუჯერებს, ვინაიდან ერთხელ დაუჯერა ცხოვრებაში პოპანდოპულოს და ასეთ საქმეში გაება.

ვესელოვსკი ამბობს: „გრიგოლი ჩემთვის მკვიდრი მეგობარი იყო“-ო და მოითხოვს შეღავათს.

**ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘ.**

გუშინ, 13 საათის თათბირის შემდეგ გამოტანილ იქნა შემდეგი განაჩენი:

ანდრია მალინოვსკის, სიმონოვიჩს, ვესელოვსკის, პოპანდოპულოს (მამას) ტულიუპას და მილიციონერ სტეცუნს მიესაჯა უმაღლესი სასჯელი — დახვრეტა და ქონების ჩამორთმევა.

პასტოლატისა და ივანოვს — სამი წლის გამასწორებელი სახლი. პოპანდოპულოს (შვილს) 3 წლისა და 4 თვით თავისუფლების აღკვეცა. ტალკას — ერთი წლით პირობითი თავისუფლების აღკვეცა. მიიღო რა მხედველობაში, რომ ანდრია მალინოვსკი, სიმონოვიჩი და ვესელოვსკი ბრმა იარაღები იყვნენ ადგილობრივ ძალის — უფალთა ხელში, სასამართლომ შესაძლოთ სცნო შეცვალა დახვრეტა 7 წლის ციხედ.

# ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐᲨᲘ

## ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ.

**ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ.**

საბჭოს სხდომაზე ადერბეიჯანის წარმომადგენელმა აგამალოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის სამართლის წარმოების გადაკეთების პროექტები გამოიწვევს ხელისუფლების სასამართლო ორგანოების პრესტიჟის შესუსტებას ადგილებში.

## ᲛᲐᲠᲢᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ.

**ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲛᲘᲒᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ.**

23 ოქტომბერს დიდის ზეიმით შეხვდა მარტის (ფრანგი კომუნისტი) სხვა და სხვა ქვეყნების პოლიტემიგრანტები. ისმოდა ინტერნაციონალის სიმღერა სხვა და სხვა ენებზე.

მარტი მიესალმა საფრანგეთის სახელით პოლიტიკურ დევნილებს და შემდეგ შეეხო საფრანგეთის მდგომარეობას და ერიოს დაუშვებელ მოქმედებას პოლიტემიგრანტების მიმართ, რაიც გამოიხატება ემიგრანტთა მიცემაში იმ სახელმწიფოებზე, საიდანაც გაქცევით თავი შეაფარეს მათ საფრანგეთს.

მხოლოდ საბჭოთა კავშირში ჰპოვებს პოლიტემიგრანტები თავშესაფარს, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს მათთვის რევოლიუციის სკოლას.

## ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ ᲗᲔᲗᲠᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

**ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲨᲣᲠᲘᲡ ᲫᲘᲔᲑᲐ.**

**საუბარი იუსტიციის სახალხო კომისართან.**

იუსტიციის სახალხო კომისარმა კურსკიმ, უცხოეთის ზოგიერთ პრესის წრეებში წარმოებულ კამპანიის შესახებ საბჭოთა კავშირის მიმართ, როსტას თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

**მიზანი არის განცალკევება და გამოსწორება.**

დასჯის პოლიტიკაში, ამბობს კურსკი, საბჭოთა ხელისუფლება ხელმძღვანელობს ორი პრინციპით: სისხლის სამართლის რეპრესიებს ის ღებულობს როგორც სოციალურ დაცვის ზომას ბურჟუაზიისა და მისი აგენტების წინაამდეგ. ეს არის ზომა საბჭოთა წესწყობილების მტრების ჩამოშორებისა.

მშრომელთა მიმართ, რომლებიც ჩაიდენენ ბოროტმოქმედებას, მოქმედობს მეორე პრინციპი: სოციალური დაცვის ზომების მიზანია ამ ელემენტების გამოსწორება და გარდაქმნა.

შურის ძიების ამოცანას საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ისახავს (ესერების ჯგუფის, სავინკოვის საქმე და სხვა). ის მოითხოვს, რომ სოციალურ დაცვის ყველა ზომები იყოს მიზანშეწონილი, არ ქონდეს მას მოტივად ადამიანის წამება და მისი ღირსების დამცირება.

გასული წლების განმავლობაში საბჭოთა იუსტიციის მთელი პრაქტიკა მიმართული იყო ამ ორი პრინციპის ცხოვრებაში გატარებისაკენ.

**კერძო ამნისტიები.**

თუ ავიღებთ პირველი კატეგორიის მავნე ელემენტებს — ბურჟუაზიასა და მის აგენტებს, ადვილად შევამჩნევთ ერთგვარ ცვლილებებს რეპრესიებში ამ ელემენტების მიმართ და ზომების შემცირებას იმის და მიხედვით, თუ რიგორ მცირდებოდა დასავლეთ-ევროპის ბურჟუაზიის მადა ჩვენს საქმეებში ჩარევისა. ამ ცვალებადობის დამამტკიცებელი იყო ის ამნისტიები, რომლებიც ვრცელდებოდა არა მარტო სისხლის სამართლის დამნაშავეებზე, არამედ კონტრ — რევოლიუციონერებზედაც. ამნისტია ეხებოდა არა მარტო კერძო პირებს, არამედ მთელ ჯგუფებს.

კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტების დასჯის დროს მხედველობაში იყო ყოველთვის მიღებული შემდეგი გარემოება: ბრალდებული ხელმძღვანელი იყო თუ მოტყუილებით ჩათრეული საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედებაში.

მუშები და გლეხები, რომლებიც მოტყვილებით იღებდნენ მონაწილეობას, **ნაწილობრ პირობითი სასჯელს ღებულობდა, ნაწილობრ თავისუფლდებოდა.**

თვით არქიეპისკოპოსმაც კი სცნო

**ჩვენი კაცთმოყვარული რეჟიმი.**

ჩვენი ასეთი მოპყრობის დასამტკიცებლად საკმარისია ის მაგალითი, რომ ესერების მემარჯვენე ჯგუფს **ენიჭება ზაფხულობით სანატორიული რეჟიმი (აგარაკი კალუგის გზატკეცილზე)**, ან და რეჟიმი ცნობილ კათოლიკე არქიეპისკოპოსის მიმართ, რომელიც განთავისუფლების შემდეგ მადლობას უძღვნიდა საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელს კაცთმოყვარულ მოპყრობისათვის მისი ციხეში ყოფნის დროს.

ამასვე ამტკიცებს უცხოეთის წარმომადგენლების წერილები, რომლებმაც დაათვალიერეს ჩვენი გამასწორებელი სახლები, და წერილები განთავისუფლებულ პატიმრებისა, რომლებიც უარყოფენ კაპიტალისტური ქვეყნების ლაქიების და აგენტების მიერ დასავლეთის პრესაში გავრცელებულ ჭორებს.

## ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲓᲐ ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲞᲧᲠᲝᲑᲘᲚᲔ.

**ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲗᲐᲜ.**

საბჭოთა კავშირის გამასწორებელ სახლების მთავარ სამართველოს უფროსმა ამხ. შირვინტმა, მეორე ინტერნაციონალის მიერ გავრცელებულ ჭორების გამო ჩვენი გამსახლების რეჟიმის შესახებ, როსტას თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

**ჩვენში არ არის როზგი, ბორკილი, იძულებითი გაჩუმება და სხვა სიმკაცრე, რომლებიც ისე უხვად არის ბურჟუაზიულ ციხეებში.**

საბჭოთა კავშირის გამასწორებელ სახლებისა და დასავლეთის საპატიმროების შედარება იძლევა სრული წინააღმდეგობის სურათს. დამნაშავეს ბურჟუაზიულ სახელმწიფოში ისე უყურებენ, როგორც „ბოროტ სულს“, როგორც „ჯალდოს“, რომელიც უნდა ჩამწყვდეულ იქნას ცხრაკილტულში, სრულიად მოწყვეტილი ამ ქვეყნიერ ცხოვრებას.

საბჭოთა გამასწორებელ სახლებში გარეგან დარაჯობას არ ექცევა იმდენი ყურადღება, რამდენიც დამნაშავის სულიერ მხარეების შესწავლას და მის გამოსწორებას.

საბჭოთა გამასწორებელი სახლი **ცოცხალ ადამიანთა სასაფლაო კი არ არის, როგორც ეს წინად იყო არამედ ის არის გამასწორებელი შრომის დაწესებულება, სადაც შრომას და აწარმოებენ კულტურულ განმანათლებელ მუშაობას.**

საბჭოთა გამასწორებელ სახლებში თქვენ ვერ დაინახავთ მოღუშულ სახეს მოხრილ „ფიგურას“, ნაწამებს და ნაცემს „როზგებით“, როგორც ეს ხდება დესავლეთ სახელმწიფოების საპატიმროებში.

საბჭოთა ხელისუფლება განიხილავს დასჯას, როგორც დროებით თავისუფლების აღკვეცას, როგორც წარმავალ მოვლენას და ამიტომაც ეწევა ამ დროებითი დასჯილთა გამოსწორებას ახალი ცხოვრების საფუძვლებზე.

## ᲛᲐᲛᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲔᲑᲘ, ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ, ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ-ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲔᲑᲘ.

არსებულ რეჟიმში საბჭოთა გამასწორებელ სახლებში პატიმარს საშუალება ეძლევა გამოიჩინოს თაოსნობა და თვით შემოქმედება. **მამასახლისები, ამხანაგური სასამართლოები, კულტურულ-განათლების კომისიები და სხვა.)**

პატიმრებს ეძლევა წლიურად **წახალისების მიზნით 7 დღის შვებულება და ამას გარდა 15 დღის შვებულება იმ შემთხვევებში თუ მშრომელ-ნათესავები მძიმე ავად ჰყავს ან გარდაეცვალა.**

## ᲡᲞᲘᲠᲢᲔᲣᲚᲝᲑᲐ ᲨᲮᲐᲛᲐᲕᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲮᲔᲣᲚᲡ.

ერთი ცუდი ადათი აქვს ადამიანს.

მე მოგახსენებთ სპირტეულობის ხმარებაზე.

საქმე ის არის, რომ თითქმის არ არის ქვეყნის ზურგზე ისეთი ხალხი, რომელსაც ეს ცუდი ზნე არ სჭირდეს. მხოლოდ განსხვავება იმ ნივთიერებაშია, რომელსაც ისინი ხმარობენ დასათრობათ.

ჩვენში ამ მიზნით ღვინო და არაყია ხმარებაში. რუსეთში ღვინო, არაყი, გამოხდილი, თაფლი და სხვა.

ყოველ შემთხვევაში, რომელი მათგანიც არ უნდა ავიღოთ, მომქმედი ნივთიერება ერთი და იგივე არის. მთავარი ნივთიერება, რომელიც ადამიანზე მოქმედებს ღვინისა და არაყის სმის დროს არის სპირტი.

განსხვავება მხოლოდ იმაშია რომ არაყში უფრო მეტია სპირტი, ვინემ ღვინოში. თვითეული ღვინო კიდევ ერთი მეორისაგან განსხვავდება. ასე, მაგალითად, იმერული ღვინო ღარიბია სპირტით, კახური კი მდიდარი.

**არის თუ არა ღვინო ზომიერ ხმარების დროს მავნებელი?**

ღვინის ხმარების შესახებ ყველა ერთი აზრის არ არის. ერთი წყება ხალხისა ღვინის ზომიერ ხმარებას სასარგებლოდ სთვლის, მეორე კი სრულიად უარყოფს ღვინოს და ალიარებს რომ იგი მავნებელიაო.

**ჩვენ რომელს უნდა მივემხროთ?** თუ მეცნიერ (სწავლულ) ხალხს დაუჯერებთ, ღვინო არავითარ სარგებლობას არ იძლევა, თუ რომ ადამიანს საჭმლის მომნელებელი ორგანოები, ე. ი. კუჭნაწლავი საღი აქვს, იმ შემთხვევაში კი როდესაც კუჭნაწლავი დაავადმყოფებულია, მაშინ ღვინო საჭიროა. რასაკვირველია კუჭნაწლავის ავადმყოფობა ბევრნაირია. ჩვენ ყველა შემთხვევებზე არ ვამბობთ, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ნაკლებად გამოყოფს კუჭი საჭმლის მონელებისათვის საჭირო სითხეს.

რომ უფრო მეტი გამოიყოს, საჭიროა მისი კედლების გაღიზიანება. ამ გაღიზიანებას იწვევს სპირტიანი სასმელები და საზოგადოთ სიმწარენი.

მაგრამ საქმე ის არის, რომ გაღიზიანებაც უნდა ზომიერი იყოს. ძლიერი გაღიზიანება უფრო ცუდათაც იმოქმედებს კუჭ-ნაწლავზე.

ასე რომ ღვინის ზომიერი ხმარება მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს ადამიანისთვის.

რაც შეეხება არაყს, იგი კი პირთანაც არ უნდა მივიკაროთ.

ჩვენში კი (განსაკუთრებით ქართლ-კახეთში) წამოიყუდებენ ხელადას პირზე და ექაჩებიან რამდენიც შეუძლიათ და სანამ შეუძლიათ.

შედეგათ მოყვება გონების დაკარგვა და აყალ-მაყალის ატეხა. მთვრალმა კაცმა არ იცის რას სჩადის.

იგი გიჟია. ბევრს გონია ღვინო და არაყი ჯანს მატებსო.

ეს შეცდომაა. თავის მოტყუებაა და სხვა არაფერი.

მართალია ჭიქა არაყ დალეული და მით უფრო მთვრალი კაცი მარდათ დარბის, ხან ხეს ეცემა და ხან კლდესა, მაგრამ ეს არ ნიშნავს ჯანის მომატებას. საქმე ის არის რომ დამთვრალი ან ღვინო დალეული კაცის ტვინი სწორად აღარ მუშაობს.

უბრალო ენით, რომ ვსთქვათ ის გასულელებულია. ამიტომ ანგარიშს არ უწევს არაფერს.

ცეცხლშიაც ჩავარდება და კლდეზედაც გადაიჩეხება. მისთვის სულ ერთია დევს დასჭიდებია თუ კაცუნას. სინამდვილეში რომ გასინჯო გაცილებით ნაკლები საქმის გაკეთება შეუძლია, ვინემ ფხიზელსა.

ბევრ შემთხვევაში მთვრალ კაცს არც კი ახსოვს გამოფხიზლების შემდეგ სად იყო და რას იქმა.

გამოანგარიშებით ცნობილი არის, რომ ბოროტების ჩამდენი ან ლოთი არის, ან მისი შვილი.

ქურდი, ბაცაცი, თავის მკვლელი დიდ შემთხვევაში ლოთის წრეებიდან არის.

გარდა გაგიჟება — გასულელებისა, ღვინის მოყვარულ ადამიანის სხეული ყოველ წუთობით და საათობით იწამლება, ბოლოს საქმე იქამდე მივა, რომ ლოთობა წუთისოფელს გამოასალმებს.

სპირტეულობა ასუსტებს სხეულს.

დასუსტებულ სხეულს კი ავადმყოფობა ადვილად ერევა.

გარდა ამისა ღვინის მოყვარულ კაცს აუცილებლად ელის სხვა და სხვა სნეულებანი: ენის დამბა, ფეხების აშლა და სხვა.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, სპირტეულობის უზომოთ მიმღები ადამიანი საკუთარი ხელით იწამლავს თავს.

ამას კი არც ერთი ჭკუაში მყოფი არ უნდა ჩადიოდეს.

ამიტომ თვითეულმა ჩვენთაგანმა სასტიკი მოთხოვნილება უნდა წაუყენოს თავს-არ ილოთოს.

ამით შევინარჩუნებთ ჯანმრთელობას და ჯიბესაც ნაკლები ზარალი მიადგება.

ამხანაგო წითელ არმიელო!

ეცადე არ გახდე ლოთობის მსხვერპლი. ურჩიე სხვასაც და საკუთარ თავსაც.

**ერთი წვეთი არაყი არ მიიკარო.**

**არ დათვრე ღვინით.**

**არაყი შხამია — შხამი კაცს კლავს.**

— ი.




## 1-ლ ქართულ მსროლელ დივიზიის სამხედრო კომისრის და პოლიტ-განყოფილების სახელზე მოვიდა შემდეგი დეპეშა:

ახმეტის რაიონის ახალ წვეულთა საერთო კრება, ამხ. ნუცუბიძის და მრელაშვილის მოხსენების შემდეგ, გესალმებათ თქვენ, წითელ-არმიის დაულალავ მებრძოლთ და გამოვსთქვამთ რწმენას, რომ ყოველივე დავალებებს ყველა, როგორც ერთი, შევასრულებთ პირნათლად.

რწმუნებული ნუცუბიძე.

## ძლევნად საქართველოს წითელ ლაშქარს.

ფრიალებს დროშა წითლად ნაფერი,
წინ მიდის მედგრად წითელი ჯარი,
ჩაგრულ მოძმეთა მცველი და ფარი,
ბნელი ძალების მოსისხლე მტერი.

„ჩვენ ვანადგურებთ ქვეყნად რაც არი
ჩაგვრა-ყვლეფაზე აშენებული“—
ასე იმღერის წითელი ჯარი
და მიდის ბრძოლის ქინ-ანთებული.

„ჩვენ ვანადგურებთ ბებერ მსოფლიოს,
ახალ ქვეყანას ნანგრევზე ვაგებთ,
სად გაგონილა მტერმა ჩვენ გვძლიოს!
ჩვენს სისხლის მსმელებს ხიშტებზე ვაგებთ.

ფრიალებს დროშა წითლად ნაფერი,
წინ მიდის მედგრად წითელი ჯარი,
ბნელი ძალების მოსისხლე მტერი,
ჩაგრულ მოძმეთა მცველი და ფარი.

ძველ-ხენაკელი.

## სამნეო გუნდის ცხოვრებიდან.

ქართულ მეთაურთა სკოლასთან არსებობს სამნეო გუნდი. გუნდის შესახებ არა ერთხელ აღნიშნულა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. წითელ არმიელებსა და მათ უფროსებს შორის განწყობილება, ერთმანეთთან დამოკიდებულება წითელ არმიელებს შორის ყოველთვის სანიმუშო იყო ჩვენთან.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ჩვენს გუნდში მოვიდენ ახალწვეულები, განსაკუთრებული პატივისცემით, მზრუნველობით და მეგობრულად დაუხვდენ მათ ძველი წითელ არმიელები. ისინი უზიარებდენ ახლად მოსულ ამხანაგებს თავის ცოდნას და გამოცდილებას, არიგებდენ თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ სამსახურის დროს და სხვა.

ძველი წითელ არმიელების წასვლის შემდეგ უვადო შვებულებაში დავრჩით პოლიტხელის და ზემდეგის ამარა.

მიუხედავად ამისა, ჩვენი მეთაურები ერთგულად და გულდასმით შეუდგენ ახალწვეულების მომზადების საქმეს.

განსაკუთრებულად მუყაითი ხალხი, საუკეთესო მაგალითის მაჩვენებელი შეიქნენ ამხანაგებისათვის. აღსანიშნავია ახლად დანიშნულ ზემდეგ ამხ. მატინოვის საქმიანობა. მისთვის თავისუფალი დრო არ არსებობს და ყოველ წუთს წითელ არმიელებთან იმყოფება.

ამხ. დიდათ ადევნებს თვალყურს, რომ არმიელები თავის დროზე მიდიოდენ სამაცადინოთ, თავის დროზე სადილობდენ, ვახშმობდენ და სხვა.

საერთოდ ჩვენი გუნდის საქმიანობა და საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს, რადგან ყოველ მხრივად გვექცევა ყურადღება.

წ. არ. რ. ვანსოვსკი.

## ჩვენს სამხკორებს შორის.

### სამხკორების კრება.

19 ოქტომბერს შესდგა მეხუთე ლეგიონის სამხკორების მორიგი კრება.

დღის წესრიგში იყო:

1) მოხსენება სოფკორის ამხ. მალინოვსკის მკვლელობის შესახებ და 2) ჩვენი მუშაობა ტერიტორიალურ ნაწილებში.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ყუბანეიშვილი, რომელმაც გაგვაცნო ამხ. მალინოვსკის მუშაობა საბჭოთა ხელისუფლების მტრების მოქმედებათა დღის სინათლეზე გამოტანაში და სხვა.

გაგვაცნო თუ ვინ იყო ის პაპანდოპულო, რომელმაც მოაწყო მალინოვსკის მკვლელობა.

მოხსენების შემდეგ სამხკორთა კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია, სადაც ზიზღს უცხადებს ამხ. მალინოვსკის მკვლელების და მთელი კრება სიტყვას იძლევა დაუზოგველად ებრძოლონ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ყოველ ბოროტებას და გამოაშკარაონ პრესაში.

„ვერავითარი პაპანდოპულოები და მათი სიმხეცე ვერ შეგვაშინებს და კალამს ვერ გაგვაგდებინებს ხელიდანო“—ამბობს რეზოლიუცია.

მეორე საკითხი ვრცლად გააშუქა ამხ. ლაღიძემ. მან მოუწოდა ყველა ამხანაგებს, ნუ დაიშურებენ ენერგიას და მეტი უნარი გამოიჩინო მათზე დაკისრებულ მოვალეობის პირნათლად შესრულებაში.

სამხკორი: მეთვალყურე.

## მოდიან, მოიმღერიან...

(შთაბეჭდილებანი).

სადგური კავთისხევი.

აურებელ ხალხს მოუყრია თავი.

ყიჟინა, ჟრიამული, სიმღერა, ცეკვა-თამაში. კაცს ეგონება, რომ დღეობაა.

გაჩერდა მატარებელი.

— საით მიდიხართ ამხანაგო? ვეკითხები ერთ ახალგაზრდას, ფანდურით ხელში.

— გორისკენ, ძმაო, „ნოვობრანცები“ ვართ,—მიპასუხებს ცოცხლად ახალგაზრდა და თან იკავებს ადგილს რონოდის კიბეზე. დანარჩენებიც მოთავსდნენ მატარებელში.

გაისმა ორთქლმავალის კივილი და მატარებელი დაიძრა.

— მშვიდობით, კავთისხეველებო, აბა, უჩვენოთ არ მოიწყინოთ, მაჰარი ხომ ბლომათა გაქვთ,—ხუმრობს აქ ერთი.

— აბა, მამაჩემო, მივდივარ, ჩემი დარდი ნუ გექნებათ, კარგათ ვიქნები. არ დაგავიწყდეს, საბძელს ჰერი გამოუცვალე, წვიმა ჩადის,—ეთხოვება მეორე ახალგაზრდა თავის მამას.

მიძინებული მატარებელი გამოცოცხლდა. მთვლემარე მგზავრებმა გამოიღვიძეს, თვალები მოიფშვნიტეს, სიხალისე დაეტყო მათ სახეებს.

გაჩაღდა სიმღერა, შაირები.

გაისმა ფანდურის ხმა და მეფანდურის სიმღერა:

„მივდივარ წითელ ლაშქარში
ვისწავლი თოფის ჰერასა,
მიწაზე მოვსპობ ავ ხალხსა
და ცაში მავნე ძერასა“

მას უპასუხებს მეორე ფანდური:

„მივდივარ წითელ ლაშქარში
ვისწავლი წერა-კითხვასა
დავჯდები, წერილს დავწერავ
ვახარებ ჩემსა დედასა“.

— გახსოვს, გიორგი, მე და შენ რომ წაგვიყვანეს სალდათად, რა ტირილი და ვაება იყო. მივდიოდი და არც კი ვიცოდი სად ან რისთვისა.

მერე, ის „ფელთებელი“ რა უსინიდისოთ იცემებოდა, ცხვირიდან შვიდჯერ მადინა სისხლი. ეხლა, ხედავ როგორ სიმღერით მიდიან ჩვენი ბიჭები?

— მა სატირელი რა აქვთ. ჩვენსავით ტანჯვაში ხომ არ იქნებიან. სად მაშინდელი ცხოვრება, სად ეხლანდელი.

ვენაცვალე ჩვენ მთავრობას. ჩვენ სოფლიდან ეხლა ცხრა ბიჭი წავიდა ჯარში. ცხრანივე მალე დაბრუნდებიან ნასწავლები, შეგნებულები და აშენდება ჩვენი სოფელი.

ე. ხუციშვილი.

## ამხ. ქუთათელაძის გაცილება.

დილიდანვე ვიცით, რომ პირველ ლეგიონის უფროსი ამხ. ქუთათელაძე გადაყვანილია.

ამ გარემოებამ ძლიერ დაგვაღონა, რადგან ამხანაგს დიდი სიყვარული და დამსახურება მიუძღოდა 1-ლ ლეგიონში.

ჯერ კიდევ გაუცნობელი წითელ არმიელები ძლიერ დაუახლოვდენ ამხ. ქუთათელაძეს.

მისი ამხანაგური მოპყრობა არმიელებისადმი და მათი მდგომარეობით დაინტერესება არასოდეს არ ავიწყდებოდა ამხანაგს.

გაისმა ლეგიონში საყვირის ხმა.

არმიელებმა და უფ-პოლიტ-შემადგენლობამ იმ წამსვე შეიყარეს თავი ლეგიონის კლუბში.

ეწყობა ამხ. ქუთათელაძის საპატივცემლოთ ლეგიონის კრება.

უეცრივ გაისმა მთელ დარბაზში ტაში. ამხანაგი სამხკომი და ლეგიონის ახალი უფროსი შემოუძღვენ ამხ. ქუთათელაძეს.

ცოტა ხნის შემდეგ ამხ. ქაჯაია კრებას გახსნილათ აცხადებს და ესალმება ამხ. ქუთათელაძეს. მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს.

პირველად ესალმება ამხ. ქუთათელაძეს სამხკომი ბაახია და უძღვნის ლეგიონის შემადგენლობის სახელით საჩუქრად ვერცხლით მოჭედილ რევოლვერს· რევოლვერის გადაცემისას ამხ სამხკომი დასძენს: „პირველი ლეგიონი გიძღვნის საჩუქარს, რომელიც უნდა გამოიყენო საბჭოთა ხელისუფლების მტრების წინააღმდეგო“.

წითელ არმიელებში მღელვარებაა, გაისმა ძახილი: „გაუმარჯოს ამხ. ქუთათელაძეს, გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას“ და სხვა.

ტაშის ცემამ და ვაშას ძახილმა თითქმის ნახევარი საათი გასტანა.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვით გამოდის ჩვენი მებრძოლი, დაუღალავი ლეგთავი ამხ. შავდია და სხვა ამხანაგების მთელი რიგი, უფ-პოლიტ-შემადგენლობის, ბიურო კოლექტივის, ა. კ. კავშირის, კლუბის გამგეობის და სხვების სახელით.

ბოლოს ესალმებიან წითელ არმიელებიც და აღნიშნავენ მის მოღვაწეობას.

შემდეგ სიტყვას იღებს ამხ. ქუთათელაძე, რომელიც ამბობს:

„მე დღეს პირველ ლეგიონმა დიდათ დამაჯილდოვა; მე იმდენი არაფერი გამიკეთებია, რაც აქ აღნიშნეს, მაგრამ ვეცდები ეს იმედები ამის შემდეგ უფრო გავამართლო. მე უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებ მის წინააღმდეგ ვინც გაბედავს და გამოილაშქრებს მუშურ-გლეხური ხელისუფლების წინააღმდეგ. მე არ დავზოგავ ჩემს ენერგიას, რომ პირნათლად, შევასრულო თქვენი დავალებანიო“.

კრების დახურვის შემდეგ არმიელები მივარდნენ და მუსიკის და „ვაშას“ ხმებში ასწიეს ამხ. ქუთათელაძე, შავდია და ლეგიონის სამხკომი.

უსურვებთ მეტ ენერგიის გამოჩენას საბჭოთა ხელისუფლების საკეთილდღეოთ, როგორც მიმავალ, ისე ახლად მოსულ მეთაურებს.

ს. იმნაიშვილი.

## ჩვენი აფთიაქი.

პირველი დივიზიის ცალკე მესანგრე ასეულში გვაქვს აფთიაქი, მაგრამ რათ გვინდა, ის მარტო ამ სახელწოდებას ატარებს და სინამდვილეში კი არაფერია.

როდესაც წითელ არმიელები აუცილებელ საჭიროების დროს მივდივართ ჩვენს აფთიაქში—უკანვე გვიხდება დაუკმაყოფილებლად დაბრუნება.

არა ერთხელ და ორჯერ შეგვპირდა ამხ. ფარმაცევტი, რომ აი დღეს აი ხვალ იქნება წამალიო, მაგრამ დაპირება—დაპირებათ რჩება და ჩვენც თავი მოგვბეზრდა მეტის-მეტი გახშირებული თხოვნით.

ექიმის თანაშემწე ამხ. მესხი გვეუბნება: წამალს ყოველ წუთში მოველითო, ხოლო ფარმაცევტი კი გვედიდგულება თქვენი ფულით უნდა იყიდოთო.

ჩვენი ასეულის წითელ არმიელები ვსთხოვთ ვისაც ეს შეეხება მოგვარდეს ეს საქმე ჩვენთან და საშვალება მოგვცენ მკურნალობის.

წ. არ. შ. ლომიძე.

## ჩვენი შემოქმედებანი.

„ტერ-ლეგიონერის ხმა.“ № 2 (1-ლ ქარ. მსრ. დივ. მეორე ტერიტორიალურ ლეგიონის ყოველკვირეული კედლის გაზეთი).

გაზეთის ფორმატი, ქაღალდი და ნაწერი ისეთივეა, როგორც პირველი ნომრის, მაგრამ უფრო გაუმჯობესებული. მაგ. სათაური სურათი შეცვლილია და უფრო ლამაზი, მაგრამ როგორც პირველში, ისე აქაც ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს გუშაგის სარივით გაჩერება—ეს ნაკლი უსათუოდ უნდა გამოსწორდეს.

ნაკლად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ის, რომ ზოგიერთი წერილების (მაგ. სამხედრო საქმე, და სხვა) გაგრძელება მორიგ ნომერშია გადატანილი; უკეთესი იქნებოდა წერილები ერთ ნომერშივე თავდებოდეს, თორემ აქ წაკითხული შემდეგ ნომერში გადატანით არ დაამახსოვრდება მკითხველს. შეიძლება ისეთ თემაზე იყოს ლაპარაკი, რომ მთელი გაზეთიც კი არ ეყოს წერილი, მაშინ ის ცალკე თავებად უნდა დაიყოს.

სხვა მხრივ გაზეთი არა ნაკლებ შთაბეჭდილებას სტოვებს პირველ ნომერთან შედარებით.

წერილები ისევე ორ-ორ სვეტში, მოკლეები და რიგზე დალაგებულია.

ლეგიონის ცხოვრება შუა სვეტშია ნახატებით, რომელიც დიდის გემოვნებითაა შესრულებული.

მეთაური წერილი ეხება წითელ მეთაურთა შეხვედრას („სალამი ჩვენს წითელ მეთაურებს“), მეორე ლენინის ანდერძზეა, მესამე საერთაშორისო მდგომარეობაზე (არჩევნები ინგლისში), მეოთხე (სამხედრო საქმე) წითელ არმიაზეა (შედგენა, მიზანი და სხვა) მეხუთე ლეგიონის ცხოვრებიდან, მეექვსე პარტიული ცხოვრება, შემდეგ ახ. კომკავშირის მუშაობა, მეცნიერება და ტეხნიკა, სანიტარული განყოფილება, იუმორი და სხვა...

აკლია პოეზია, მხატვრული პროზა, წითელი და შავი დაფა, კითხვა-პასუხები, კალენდარი და სხვა, რომლებიც აუცილებლად შეტანილი უნდა იქნენ გაზეთში.

სანი.

# პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობა საარტილერიო დივიზიონში.

ჩვენს ნაწილში პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობას დღემდი არ ქონდა მიქცეული ჯეროვანი ყურადღება და არც იყო საამისო პირობები ჩვენთან.

დღემდი ჩვენ არ გვქონდა ცალკე შენობა კლუბისათვის. კლუბი საერთო გვქონდა № რუსულ დივიზიონთან და ეს გარემოება ხელს უშლიდა მუშაობის ნორმალურ მსვლელობას.

ეხლა კი გამოძებნილია და შეუჩერებლად სწარმოებს მისი კლუბად გადაკეთება და მოწყობა.

**დაგვინიშნეს** აგრეთვე კლუბის ახალი გამგე ამხ. ლეშკაშელი, რომელიც დიდ მონდომებით შეუდგა თავისი მოვალეობის ასრულებას; ჩამოაყალიბა სხვა და სხვა წრეები, შესძლო კავშირის დაჭერა მე-3 საბჭოთა თამბაქოს ქარხნის დრამწრესთან და ამ წრის დახმარებით (ქალთა ძალებითო) შეადგინა უკვე დივიზიონის დრამწრე და განზრახული აქვს მომავალ შაბათს წარმოდგენის გამართვაც. ეს იქნება პირველი წარმოდგენა ბანაკიდან დაუბრუნების შემდეგ, რომელსაც დიდი სიხარულით მოელიან ჩვენი წითელ-არმიელები.

ბატარიებში დღემდე არ იყო მოწყობილი ლენინის და სხვა კუთხეები. ამ ჟამად კი თითქმის ყველა ბატარეებშია ასეთები. დიდ შთაბეჭდილებას ახდენს სამხედრო კუთხეები, რომელთა მოწყობაში ჩვენმა მეთაურებმა გამოიჩინეს დიდი უნარი და ხალისი.

მხურვალე მონაწილეობას ღებულობდნენ კუთხეების მოწყობაში წითელ არმიელები და პოლიტხელები და კუთხეების მოწყობამ შეჯიბრებითი ხასიათიც კი მიიღო ბატარეების შორის: ყველა სცდილობდა ახალი რამ შემოეტანა ამ მუშაობაში, ახალ გეგმებს და რჩევებს ბოლო არ ქონდათ.

ამ გვარად ინტენსიური საერთო მუშაობით მივაღწიეთ მიზანს და ეხლა მთელ თავისუფალ დროს ჩვენი წითელ არმიელები ამ კუთხეებში ატარებენ: კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს, ბაასობენ ამა თუ იმ პოლიტიკურ თემებზე, აქვე სწარმოებს გაზეთების ხმა მაღლა კითხვა წერა-კითხვის უცოდინართვის და სხვა კითხვის დროს გაუგებარ სიტყვებს სწერენ „კითხვა პასუხის" რვეულში და იქვე იღებენ ამა თუ იმ უცხო სიტყვების ახსნა განმარტებას.

ყველანი მოხარული და კმაყოფილი ვართ რომ ბოლოს და ბოლოს შევსძელით ჩვენ წითელ-ჯარის ყაზარმისათვის ამ აუცილებელ კუთხეების მოწყობა.

მართალია **ჯერ** კიდევ ბევრი რამ აკლია ამ კუთხეებს, მაგალ. ძლიერ სუსტია მედ-ვეტ სანიტარული განყოფილებები, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ ამ მოკლე ხანში სათანადო მედ ვეტ პერსონალი ამასაც მოაწესრიგებს.

და აი მთელ ზემოხსენებულ მუშაობაში დიდი ღვაწლი მიუძღვის დივიზიონის სამხკომს ამხ. დემეტრაშვილს, რომელმაც შესძლო გადაელახა ყველა დამაბრკოლებელი მიზეზები ამ საქმის სათანადოთ მოსაგვარებლად.

იმედი გვაქვს მისი ენერგიული მუშაობით ჩვენ შევსძლებთ მომავალ დიდ ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულის ჩვენ საკუთარ კლუბში ჩატარებას.

უსურვებთ ამ დარგში ყველა მომუშავე ამხანაგებს მეტ ენერგიას დასახულ მიზნის განხორციელების საქმეში.

**სამხკორი: დროშელი.**

# სამხედრო ტრიბუნალში.

ოქტომბრის 17 სასამართლოს სხდომაზედ, ამხ. გოგიჩაიშვილის თავმჯდომარეობით და კოლეგიის წევრების: გაბუნიას და ლომიას მონაწილეობით გაირჩა საქმე 1-ლ ლეგიონის წ/არმიელის ირაკლი ჩოჩიშვილის, რომელსაც ბრალი ედებოდა სამხედრო სამსახურის თავის ნებით მიტოვებაში და სახაზინო ქონების გაფლანგვაში ე. ი. ბოროტმოქმედებაში ს. ს. კ. 211 მ. 1 ნ. და 213 მ. 1 ნ. ნიშნებით.

**საქმის ვითარება.**

ა/წლის 4 ივლისს, ბრალდებულმა ჩოჩიშვილმა მიატოვა სამხედრო ერთეული და გაიპარა სახლში, დარჩა იქ 23-24 დღე და შემდეგ თავისივე ნებით დაბრუნდა ნაწილში. სახაზინო ნივთებიდგან ნაწილს ვეღარ დაუბრუნა ერთი წყვილი ფეხსახვევი და ერთი „კრუჟკა". ჩოჩიშვილი განუვითარებელი და უსწავლელი კაცია. არ შეიძლება ის ჩაითვალოს შეგნებულ დეზერტირად, ოჯახური მდგომარეობა გაჭირვებული ჰქონია, თვით დროც, რომ აირჩია გაპარვისა, ივლისი, ეს ხვნა თესვის დროა.

დამტკიცდა, რომ ის მართლა ყანებში მუშაობდა.

ტრიბუნალმა მიიღო ყველაფერი ეს მხედველობაში და ჩოჩიაშვილს მიუსაჯა დაკარგულ სახაზინო ნივთების ღირებულების ანაზღაურება და საჯარიმო გუნდში მოთავსება ორი თვის ვადით.

მხოლოდ, რაც შეეხება ქონების ნაწილის კონფისკაციას, რომელიც მას მისჯილი ჰქონდა ორასი მანეთით, ჩოჩიაშვილის ქონებრივი მდგომარეობის მხედველობაში მიღებით, თანახმად ს. ს. კ. 28 მ. შეუმცირდა ათ მანეთამდე.

18 ოქტომბრის სხდომა.

**ქართულ 1-ლ ლეგიონის სასანიტარო ნაწილის წ. არმიელის ბიქტორ ოდილაძეს საქმე.**

**ბიქტორ ოდილაძეს დანაშაული.**

ოდილაძე მსახურებდა რა სასანიტარო ნაწილში, სრულიად თავისუფლად გრძნობდა თავს, რადგანაც სამწყობრო მაცადინეობაში ის მონაწილეობას არ ღებულობდა.

მიუხედავათ იმისა, რომ მან იცოდა, რომ უფროსების დაუკითხავად სახლში წასვლა არ შეიძლება, არც აცხელა, არც აცივა, და ა. წლის 28 აგვისტოს გაეშურა სახლისაკენ.

თავის მართლება მისი, რომ ოჯახში გაჭირვებული მდგომარეობა მქონდაო, არც იმდენათ დამტკიცდა საქმით, უფრო ახლოს იქნება სიმართლესთან, თუ ვიფიქრებთ, რომ უკვე დამწიფებულმა ყურძენმა და სხვა ხილეულობამ მიიზიდა ის ამ შემოდგომაზედ სახლისაკენ.

დაჰყო სახლში 10-11 დღე, და დაბრუნდა უკანვე.

ტრიბუნალმა ამ დანაშაულისათვის მიუსაჯა მას საჯარიმო გუნდში მოთავსება ოთხი თვის ვადით. ალბათ ოდილაძეს სასანიტარო ნაწილში აკლდა სამხედრო დისციპლინის ცოდნა, ამას ის შეავსებს საჯარიმო გუნდში. მას აგრეთვე უნდა ჩამორთმეოდა ორასი მანეთის ღირებულების ქონება, მაგრამ რადგანაც დამტკიცდა ის, რომ ოდილაძე ხელმოკლე კაცი ყოფილა, ქონების კონფისკაცია ტრიბუნალმა მას აპატია.

**დიხ.**

# ამბები სოფლებიდან

**ტყავეულობის ქარხანა გორში.**

გორის ტყავეულობის ქარხანამ ივლისის, აგვისტოს და სექტემბრის განმავლობაში დაამზადა 12 170 მანეთის ტყავეულობა.

**თესვა მანქანებით.**

გორის მაზრის აგრო-დახმარებამ სასოფლო-სამეურნეო მანქანებით დათესა 100 დესეტინა მიწა.

**თვით დაბეგვრის საქმე გურიაში.**

ოზურგეთის მაზრის გლეხკომებმა თვით დაბეგვრის სეშუალებით ჯერჯერობით შეაგროვეს 3,800 მანეთი.

**ელექტრო სადგური ზესტაფონში.**

შორაპნის სამაზრო აღმასკომმა განიზრახა შეიძინოს დინამო-მანქანა ზესტაფონის ელექტრო სადგურის საჭიროებისათვის.

**სესხად გლეხებს.**

სიღნაღის აღმასკომმა დაავალა ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებას მისცეს სოფ. არხილოს კალოს გლეხებს სესხის სახით სათესლე ხორბალი.

**ტყის მოშენება მეფუტკრეობისათვის.**

სიღნაღის აღმასკომის დადგენილებით განზრახულია გადაეცეს მეფუტკრეთა ამხანაგობა „თაფლის წყაროს" 12 დესეტინა ადგილი სოფ ბოდბეში, თაფლოვან მცენარეობისა და ტყის მოსაშენებლათ.

**ბრძოლა საქონლის ჭირთან.**

გორის მაზრის სავეტერინარო მაგიდის მიერ ივლის-ავისტო-სექტემბრის განმავლობაში აცრილ იქნა 4.390 სული საქონელი.

**შემოსავალი წისქვილებიდან.**

გორის მაზრის წისქვილებიდან ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებას შემოსავლის სახით შემოუვიდა სექტემბრის განმავლობაში 320 ფ, ხორბალი.

**თხილის დამზადება.**

ოზურგეთის მაზრის გლეხკომებმა და ადგილობრივმა კოოპერატივებმა დაამზადეს 2 ათასი ფუთი თხილი.

# ახალი ამბები

— **მუშაობა ჯარში.** ქართ. მსრ. დივ. პოლიტგანყოფილების კომუჯრედის ღია კრებაზე, უპარტიოთა დასწრებით დადგენილ იქნა დაარსდეს კულტკომისია, რომლის მიზანიც იქნება წრეებისა და სამკითხველოების დაარსება.

— **ლენინგრადის პროლეტარიატის სასარგებლოთ,** 1-ლი ქართ. დივიზიის პოლიტ-განყოფილების კომუჯრედის ღია კრებაზე ერთხმათ იქნა დადგენილი ნოემბრის ჯამაგირიდან გაიღონ ერთი დღის ჯამაგირი ლენინგრადის პროლეტარიატის დასახმარებლათ.

— **სამხედრო კოოპერატივის შეფობა.** საქართველოს სამხედრო კოოპერატივის (ევკოგრუზის) მიერ მიღებულია შეფობა სოფ. დაბლაციხის კოოპერატივზე.

— **წიგნები სამხ. ნაწილებისათვის.** ოქტომბრის დღესასწაულებისათვის გამოსაცემათ განზრახული კრებული „ოქტომბერი" დაეგზავნებათ ჯარის ნაწილებსაც.

— **სწავლის ფული.** ტფ. აღმასკომმა გადასწყვიტა არა მშრომელ ელემენტებისათვის გაადიდოს სწავლის ფული ორჯერ.

— **სკოლის გარეშე დარჩენილთა საჭიროებისათვის.** სკოლის გარეშე დარჩენილთა საჭიროებისათვის ქალაქის აღმასკომმა გადასწყვიტა აღძრას შუამდგომლობა სახ. კომის. საბჭოს წინაშე 311.072 მანეთის გადადების შესახებ, სკოლებისა და საბავშო ბაღების გასახსნელათ.

— **სასოფლო-სამეურნეო მუშაობის გეგმა.** მიწად-მოქმედების კომისარიატმა შეადგინა თავისი მუშაობის 5 წლის გეგმა.

— **წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობათ.** ტფილისის პოლიტგანათლების მიერ ტფილისში უკვე გაიხსნა 56 წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა, აქედან 17 ქართულია.

— **ციებ ცხელებასთან ბრძოლა.** ჯანსახკომმა შეიმუშავა გეგმა „ციებ-ცხელებასთან ბრძოლის კვირის" ჩასატარებლათ.

# მოგვაწოდეთ ცნობები.

ქართულ მეთაურთა სკოლის, საარტილერიო განყოფილების ლენინის კუთხის გამგეობამ განიზრახა კუთხისათვის ალბომის შეძენა, რომელშიდაც აღინიშნება სკოლის საარტილერიო განყოფილების ისტორია.

ამისათვის მივმართავთ ყველა იმ წითელ მეთაურებს, რომლებიც გამოუშვა სკოლის ამ განყოფილებამ როგორც პირველი ისე მეორე გამოშვებაზე, მოგვაწოდონ თავიანთი ავტობიოგრაფიები, პატარა წერილები ბატარეეის ცხოვრებიდან და ფოტოგრაფიული სურათები.

იმედია ამხანაგები არ დაიზარებენ ამ დავალებას და მოგვაწოდებენ ყოველგვარ მასალებს, რაც ხელს შეუწყობს ახალ კურსანტებს აღნიშნული განყოფილების წარსულის გაცნობას.

**კუთხის გამგეობა.**

# ჩვენი ფოსტა.

**ამხ. კიკვაძეს.**—თქვენი წერილი „თავ აღებულები" არ დაიბეჭდება.

**ამხ. ს. იმნაიშვილს.**—წერილი აღმასკომის დადგენილების შესახებ არ დაიბეჭდება.

**ამხ. ესტატეს.**—თქვენი კორესპონდენცია „მიექცეს ყურადღება" არ დაიბეჭდება. მოიწერეთ კორესპონდენციები ნაწილის ცხოვრებიდან.

**ამხ. „ს"-ს**—არც თქვენი წერილი „საჭიროა ლაგამის ამოდება" არ დაიბეჭდება, მოიწერეთ წერილები სხვა შინაარსით.

**ამხ. ჯავახელს.**—თქვენი წერილი „კოოპერატივის გამგეზე" არ გავა. მოიწერეთ წერილები ნაწილის ცხოვრებიდან.

**ამხ. ბალათურიას.**—„მესამე ტერლეგიონის სინათლე" არ დაიბეჭდება.

**ამხ. შალიკო რაჭველს.**—თქვენი საპასუხო წერილი ცხრაასმეოცისადმი არ გავა. მოგვაწოდეთ წერილები ნაწილის ცხოვრებიდან.

**ამხ. ტალახაძეს.**—თქვენს წინადადებას დიდი სიამოვნებით ვღებულობთ.

# ბეჭდვითი სიტყვის სექციის
# განცხადება

26 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში (კალოუბნის ქუჩა № 3) დანიშნულია ბეჭდვითი სექციის წევრთა კრება.

## დღის წესრიგი:

1. ბეჭდვითი სიტყვის სექციის ახალ მიღებულ (მიმდინარე წლის აპრილიდან) წევრთა დამტკიცება და იმ პირთა გამორიცხვა, რომელთაც არ შემოუტანიათ სამი თვის განმავლობაში საწევრო გადასახადი.
2. ანგარიში ბეჭდვითი სიტყვის მომუშავეთა ადგილკომის მუშაობის შესახებ.
3. სარევიზიო კომისიის ანგარიში.
4. მოხსენება საწევრო გადასახადის დაკლების შესახებ 1 $^0/_0$-თ.
5. მოხსენება სექციასთან ურთიერთ დამხმარე სალაროს დაარსების შესახებ.
6. მოხსენება წყალდიდობით დაზარალებულ ლენინგრადის პროლეტარიატის დახმარების შესახებ.
7. არჩევნები: ადგილკომის, კულტკომისიის, სარევიზიო და შრომის დაცვის კომისიების წევრების არჩევა.
8. მიმდინარე საკითხები.

თუ პირველი კრება არ შესდგა სათანადო რაოდენობის წევრთა დაუსწრებლობის გამო, მეორე კრება ინიშნება იმავე დღეს საღამოს 6 საათზე და კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

**ადგილკომი.**

**დაკარგე** აღრიცხვის ბარათი №1941 გაცემული ვახტანგ ივანეს-ძე სიმონიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.